**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030119713691120

**№ 01-537/ო** **04 / ნოემბერი / 2020 წ.**

**ბავშვთა 24 საათიანი ზრუნვის დაწესებულებებისთვის (მათ შორის დედათა და ბავშვთა თავშესაფრი) ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და კონტროლის სტანდარტების დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ს” ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „ბავშვთა 24 საათიანი ზრუნვის დაწესებულებებისთვის (მათ შორის დედათა და ბავშვთა თავშესაფრი) ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და კონტროლის სტანდარტები“.

2.ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული სტანდარტები სავალდებულოა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ შესაბამისი წლის სახელმწიფო პროგრამის ყველა ბავშვთა 24 საათიანი ზრუნვის მომსახურების მიმწოდებლისათვის (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა), გარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა სპეციალიზებული დაწესებულებებისა, ხოლო სარეკომენდაციო - 24 საათიანი ზრუნვის განმახორციელებელი ყველა მომსახურების მიმწოდებლისათვის (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე